**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თვ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892



**ეკატერინე ავეტიქას ასული, გრიგოლ და მნაცაკან იაგორის ძენი, მიხეილ გრიგოლის-ძე ფრიდონოვები** და **ბარბარე გრიგოლის ასული თუმანოვისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა თვისისა, მეორენი მამისა და დანარჩენნი—ძმისას **იაგორ გრიგოლის—ძის ფრიდონოვისასა**, რომელიც მიიცვალა ტფილისში, 2 თებერვალს. პანაშვიდი იქნება გადახდილი ოთხშაბათს, 5 თებერვალს, სალამოს 6 საათზე, გარდაცვალებულის სახლში: სერგიევის ქუჩა, საკუთარი სახლი. მიცვალებულს დაასაფლავებენ ხუთშაბათს, 6 თებერვალს, ნორაშენის ეკკლესიის გალავანში. მიცვალებულის გვამს გამოასვენებენ მისის სადგომიდგან, დილის $10^1/_2$ საათზედ, ხოლო-უკანასკნელი პანაშვიდი ლიტიითურთ გადახდილი იქნება დილის 10 საათზედ. (2—2)

კნეინა მანანა ზაალის ასული რატიევისა და თავადი მიხეილ გიორგის ძე რატიევი აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და პატივისმცემელთ, რომ დიდუბის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი პირველის მეუღლისა, ხოლო მეორეს ძმისა, გარდაცვალებულის **გენერალ-მაიორის თავადის ზურაბ გიორგის ძის რატიევისა**, შაბათს, 8 თებერვალს, დილის 10 საათზედ. (1—1)


ტფილისი, 5 თებერვალი

ჩვენს ქვეყანას უხვ და მდიდარ ქვეყანადა სთვლის ყველა, ვისაცკი თვალი მოუკრავს მის არე-მარესათვის. მისი ჰავა და ნიადაგი ისეა შემკობილი, რომ ბევრ-გვარს სასარგებლო ცხოველსა და მცენარეს ახარებს და ასაზრდოებს. ყველა მცენარეთა შორის უფრო ძვირფასია ამ ჟამად მამულის კაცისათვის ვაზი. არ ვიცით, შემდეგ რა იქნება, ხოლო დღეს მთელს კახეთში, ქართლის ზოგიერთს ალაგას და ზემო-იმერეთში ვაზს პირველი ადგილი უჭირავს სოფლის ეკონომიაში. ჯერ აქამომდე ისე არა ეხმარება-რა ჩვენის გლეხკაცის კეთილ-დღეობას, როგორც მამა-პაპათა ოფლით მორწყული ვენახი. სწორედ ვაზის და ვენახის წყალობით თუ მიაჩნიათ ასე თუ ისე მდიდარ ადგილებად ის ადგილები, საცა ვაზი ხარობს. მართლაცა და ამისთანა ადგილებში გლეხი, თუ მცირე-მამულიანი თავადი და აზნაური ვენახით იბრუნებს სულსა.

რასაკვირველია, თუ გლეხ-კაცს ვენახს გარდა, ცოტაოდენი სახნავ-სათესი მიწაც არა აქვს, თავისს საქმეს რიგიანად ვერ წაიყვანს. თითონვე ამბობს—„გლეხ-კაცი ნასყიდის პურით ვერ გაძღებაო“. მაგრამ, სადაც-კი ცოტად თუ ბევრად მევენახეობას თავი უჩენია, იქ მხოლოდ ვენახის წყალობით შოულობს გლეხ-კაცი თითო-ოროლა შაურს და მით იშორებს „ფოსტის ფულსაც“ და უძლვება ოჯახის მრავალგვარს ხარჯსაც.

და აი სწორედ ეს უმთავრესი წყარო გლეხ-კაცობის კეთილდღეობისა შრება ამ ჟამად ზემო-იმერეთში ფილოქსერის მიზეზით. შორაპნისა და ქუთაისის მაზრებში კაცი ძნელად შეხვდება ისეთს სოფელს, სადაც ვაზი თითქმის ხელ-აღებით არა ხმებოდეს. ვინ იცის, იქნება მალე დადგეს ის დროცა, როდესაც იმერეთის საუკეთესო ვენახებში ერთი ნედლი ვაზიც აღარ მოიპოებოდეს. სამწუხარო ის არის, რომ თვით ვენახის პატრონებს არა სჯერათ, თუ რა უბედურება მოელით.

ჩვენდა საუბედუროდ, ის ბევრგვარი ღონის ძიება, რომელიც იხარება საზღვარ გარედ ფილოქსერასთან საბრძოლველად, ჯერ ჩვენში სრულიად გამოუყენებელია. 15—25 წელიწადი მაინც გავა იმ დრომდე, ვიდრე ამერიკის ვაზის ღვინოს მოვიყვანთ, ქვიშიანს ადგილებს მოვნახავთ ვენახის გასაშენებლად, ანუ ვიდრე გავაშენებთ ვენახს ისეთს ადგილას, სადაც წყლის დაგუბებით შეიძლებოდეს ვარჩინოთ ჩვენი ფილოქსერიანი ვენახები, ასე რომ ამ ჟამად მხოლოდ ერთად ერთი საშუალება დაგვრჩენია ზემო იმერეთის ვენახების დასაცველად: წამლობა გოგირდოვანის ნახშირმბადით. მაგრამ საქმე იმაშია, ვის შეუძლიან ასეთის იარაღით გაემკლავოს ამ საშინელს მტერს? ჯერ ერთი რომ ხალხი დღემდე თითქმის სრულიად არ არის დარწმუნებული, თუ გოგირდოვანი ნახშირმბადი სასარგებლო წამალია ფილოქსერისაგან დაზარილებულის ვენახებისათვის; შემდეგ თვით წამლის ხმარებასაც ცოდნა-გამოცდილება და ხერხი უნდა, რაიცა ხალხისათვის, გლეხკაცობისათვის, ადვილი საქმე არ არის. გარდა ამისა, წამლის შოვნა რუსეთში შეუძლებელია—საფრანგეთიდგან უნდა დაიბაროს კაცმა. მთავრობამაც რომ მეტ-ნაკლები შემწეობა გაუწიოს ვენახის პატრონთ წამლისა და მაშინების შეძენაში, წამლობას მაინც რაოდენიმე ნაღდი ფული უნდა, ასე 80—100 მანათამდის დესეტინაზე. ეს გარემოებაც, რასაკვირველია, ძლიერ გაუჭირებს საქმეს თვით წამლობის გავრცელებას.

ყოველივე ეს რომ ვიქონიოთ მხედველობაში, ძლიერ საეჭვოა, იმერეთში ბევრი ვენახი გადაურჩეს ფილოქსერას. იშვიათი გამრჯელობა, მხნეობა და ცოდნა-მოსაზრება უნდა ჰქონდეს ვენახის პატრონს გლეხს, რომ ასე თუ ისე მოუაროს თავისს ვენახს და გაჰკურნოს საშინელის სენისაგან. ამიტომ, ჩვენის აზრით, გაზვიადება არ იქნება, უკეთუ ვიტყვით, რომ ამ მოკლე ხანში ზემო იმერეთის გლეხ-კაცს შეუმცირდება შემოსავალი და დიდს სიღარიბესა და გაჭირვებაში ჩავარდება ვენახების გახმობისა და ამოვარდნის გამო.

რომ უფრო უკეთ დავასაბუთოთ ეს აზრი, ვნახოთ, რა ადგილი უჭირავს ვენახს იმერლის ყოფაცხოვრებაში. შორაპნისა და ქუთაისის მაზრების გლეხი ჯერ ერთი ძლიერ შეწუხებულია და შევიწროებული სახნავ-სათესის სიმცირით. თვითვეულს კომლს სახელმწიფო გლეხისას მთელს ქუთაისის გუბერნიაში ყოველგვარი მამული (ეზო, ვენახი, სახნავ-სათესი, ტყე, საბალახე და უვარგისი მიწები) ხვდება რვა დღე ნახევრისა. ($4,_{23}$ დესიატინა).

შორაპნისა და ქუთაისის მაზრებში შუათანა ნადელი სახელმწიფო გლეხისა არის $4,_{59}$ დეს. (ყოველგვარი მიწა); ამაში სახნავი—$2,_{42}$ დეს., ვენახი 0,42 დესიატინა. თვითვეულს მამაკაცს მოსდის 1,34 დესეტინა.

ზემოხსენებული ცნობანი შეეხება მხოლოდ სახემლწიფო გლეხებს, რომელთაც უფრო მეტი ადგილ-მამული უჭირავთ, ასე რომ საბატონო გლეხნი უფრო შევიწროვებულნი არიან მიწის მხრით, თუმცა მათ შესახები ცნობანი ამ ჟამად ხელთ არა გვაქვს. რომ შევადაროთ რუსეთის გლეხ-კაცის ნადელებს, აი რას გვეტყვის ციფრები: მთელს რუსეთში თვითვეულ გლეხ-კაცის კომლს ხვდება $12,_{3}$ დესეტინა, ესე იგი თითქმის 25 დღისა, თითოეულს მამაკაცზე—მოდის $4,_{1}$ დესეტინა.

ასეთი დიდი განსხვავება გახლავთ იმერეთსა და რუსეთის გლეხთა შორის მიწის მფლობელობის საქმეში. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ, რომ რუსეთის გლეხკაცობა სულ კიდევ მაინც სახნავ-სათესის მამულების სიმცირეს უჩივის. მართალია, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, იმერეთის ნიადაგს შეუძლიან აწარმოვოს მრავალ-გვარი ძვირფასი მცენარე, მაგრამ მათ შორის დღემდე მარტო ვაზს უჩენია თავი, რომელიც ამ ჟამად ხმება. რასაკვირველია, ბევრი სხვა მცენარეც კარგად ხარობს აქა. (ბამბა, თამბაქო, ზეთის ხილი და სხვა), მაგრამ ჯერ ბაზრის გარემოება და ხალხის

# ფელეტონი

## პირმოთნე მოღვაწეს

უფსკრულისაკენ მიილტვის ხალხი:
ქვეყნის ორგულნი წინ მიუძღვიან,
თვით სინიდისზე ხელ აღებულნი—
უვიცებს, ბრიყვებს ზნეობით სვრიან.

ხალხის მბილწავთა დევიზი არის:
„ოღონდ ჩვენ ვიყოთ ბედნიერიო,—
თუ-კი მივაღწევთ ჩვენს პირად წადილს,
დე, დაიღუპოს მთელი ერიო!“

შენ-კი—ქვეყნისთვის თითქო თავს სდებდი!
აწ მის მაოხართ აძლევ სალამსა?!
ამაოების მძებნელთ ხელს უწვდენ,
მათ ამსახურებ წმინდა კალამსა?!

როს შენ პირადად არარას ჰკარგავ,
მაშინ ხარ ხალხის ძმა და ერთგული;
თუ მტრისგან ელი რასმე, მტერსა ძმობ:—
ნუ თუ ეს არის ხალხთ სიყვარული?!

ნუ თუ არ გესმის, რომ სახელს უკვდავს
ვერ ვინ მოიხვეჭს პირმოთნეობით,
რომ სიტყვა მხოლოდ მაშინ ღირს ძვირად,
როს მთქმელი თვითონ ბრწყინავს ზნეობით?!

და თუ შენ ქურდობ, რა შუბლით ეტყვი
სხვებს მწმინდა მცნებას: „არა იპარო“?
სხვებს ნუ ასწავლი ხალხის სიყვარულს,
როს თვით არ იცი, ვით შეიყვარო...

ნუ პირმოთნეობ და ნუ ცბიერობ,
გულწრფელად იყავ ერთ-ერთის მონა:
ან გწამდეს ღმერთი ჭეშმარიტების,
ან ზნე-დაცემულთ ღმერთი—მამონა!

სილოვან

2 თებერვალს

## ესაა ჩვენი ცხოვრება!..

(სურათი)

— აბა, თითო ტაქანი არაყი დაგვისხი, რო ერთი კარგა შეგვახუროს,— უთხრეს გლეხებმა მედუქნეს, როცა შეშის ცალიერს ურმებში საქონელი შეაბეს.

— ეხლავე, მოგართმევთ! მედუქნე შევიდა დუქანში და გლეხებიც შეჰყვნენ. მედუქნემ დახლზე გადმოაწყო ჭიქები და მერე არყით დაავსო.

— მიირთვით, თქვენი ჭირიმეთ!.. სხვას ხომ არას მიირთმევთ? ცოტა ხნის შემდეგ დაეკითხა მედუქნე.

— არა, ჩემო შაქრო! უპასუხა ერთმა გლეხმა და არყით სავსე ჭიქას ხელი წამოავლო; მერე მიუბრუნდა დანარჩენებს და უთხრა:

— დალიეთ, ნულარ ვიგვიანებთ!

სხვა გლეხებმაც აიღეს ჭიქები და მედუქნე ადღეგრძელეს, რომელმაც სამაგიეროდ უსურვა ყოველივე კეთილი.

— მაშ აღარ იშლით, მიდიხართ? ჰკითხა მედუქნემ გლეხებს, როცა ჭიქები გამოცალეს, თითო ლუკმა გამხმარი პური, მედუქნისგან გადმოღებული, პირში ჩაიდეს და საცოდავად ალავლავებდნენ.

— აღარა, შენი ჭირიმე! სხვა დრო რო იყოს, კიდევ დავრჩებოდით, დაიწყო ერთმა გლეხმა: საქონელსაც ბოსელში თბილათ შავინახამდით და ჩვენც კარგად დავიძინებდით; მაგრამ რა უყოთ, ხვალინდელს დღეს არ ელალატება. თუ ამაღამ შინ არ მიველით, არ იქნება. ზოგს დანიშნულისთვის ბუზიკა მიგვაქვს, ზოგს კიდევ ნათლიდედისთვის კელეპტარი, პოლშაპოჭკი და ზოგს კიდევ ვისთვის... თუ ხვალ ადრიანათ არ ჩაუგზავნეთ, მერე მადლი აღარ ექნება.

ამ ლაპარაკის დროს გლეხმა უბიდგან ამოიღო ცხრად ჩანასკული მჩვარი, რის ვაივაგლახით განათავისუფლა შიგ მომწყვდეული შაურიანი, დახლზედ გადაატყაპუნა და თანაც დაუმატა:

— ენდე, შვილოსა, ეგლა დამრჩა ხუთი მანათიდან და ეგეც შენა!

— ხუთ-ხუთ მანეთად დაჰყიდეთ შეშა? ჰკითხა მედუქნემ და მერე დაუმატა: კაი მაზანდა ჰქონია!

— კაი მოგცეს ღმერთმა, რო კაი მაზანდა აქვს ეხლა, მაგრამ სადაა ეოხერი შეშა! თითქმის ყველამ ერთად უთხრეს და თანაც დახლზედ შაურიანებს რახა-რუხი აუყენეს.

— აგაშენოთ ღმერთმა! უთხრა მედუქნემ და შაურიანები დახლის უჯრაში მოაქცია.

— აბა ეხლა-კი წავიდეთ, თორემ დაგვიგვიანდება! მოაგონა ერთმა გლეხმა წასვლა და გარედ გავიდა.

ამას სხვებიც მიჰყვნენ და გარედან შემოსძახეს მედუქნეს:

— გამარჯვებით იყავი, შაქრო!

— გამარჯვებით მგზავრობა მოგცეთ ღმერთმა! დახლიდგან გასძახა მედუქნემა.

გლეხები გაემგზავრნენ შინისაკენ და ხმამაღლივ ლაპარაკობდნენ, მომავალს ბედნიერს დღეს რა ნაირად გაახარებდნენ საჩუქრებით იმათ, ვისთვისაც რამ მიჰქონდათ; თანაც თავიანთს საჩუქრებს აქებდნენ და აზვიადებდნენ.

— ჩემი ბუზიკა ისეთია, რომ თავითავად დაუკრამს,—დაიწყო ერთმა.

— კაცო, ი მამაცხონებულმა მებუზიკემ, განაგრძო ისევ იმან: ისე დააწიკწიკა, რო არ ვიცი როგორა!.. სამი მანათი რო დაეფასებინა, მიმცემი ვიყავი, მაგრა, ღმერთმა უშველოს, ორათ მამცა.

— არ გინდა, ილიკო, ისე ჩაწიკწიკება შენც იცოდე? ჰკითხა ერთმა მეურმემ.

— ჰაი, ჰაი, რო მინდა! ღვთის წყალობა გაქვს, მაშინ მე ჩვენებურს გოგოებს გულს აუთამაშებდი! სიცილით უპასუხა ილიკომ.

ჩვეულება ხელს არ უწყობს ამ მცენარეთა გავრცელებას. იმერეთი მარტო სიმინდისა, ფეტვისა და ღომის ანაბრობაზედ-ღა დარჩება, როდესაც ვენახები გადახმება.

შესანიშნავი ის არის, რომ იმერეთის ვენახები გაშენებულია საზოგადოდ მწირსა და უნაყოფო მიწებზე, რომელზედაც სიმინდი ძლიერ ნაკლებად მოდის. როდესაც ვენახები გადახმება, ნავენახარს მიწებზე ხეირიანს სიმინდსაც-კი ვერ მოიყვანენ. ვენახს (0,42 დესეტინა). შემოაქვს დღეს წელიწადში 200 მან. სახნავ-სათესი მიწები (2,42 დეს.) მისცემს 150 მან. ასე რომ წლიური შემოსავალი 350 მან. აქვს. როდესაც ვენახები გახმება ⁊ ვენახის ალაგას სიმინდს დასთესავს, 0,42 დესეტინამ 200 მან. მაგიერ იქნება 20 მანათიც არ მისცეს და მაშინ წლიური შემოსავალი ერთი ორად უმცირდება (170 მან.).

დიდის გაჭირვებისა და უბედურების ასაცილებლად, ფილოქსერასთან ბრძოლას გარდა, რომლისაგანაც შემდეგისათვის დიდს სარგებლობას მოველით, უეჭველად საჭიროა, სხვა გვარს საშუალებასაც მივმართოთ იმერეთის გლეხ-კაცობის შემოსავლის გასაბევრებლად. ამ მხრივ ორის გზის მეტს ვერასა ვხედავთ: ანუ გლეხ-კაცობას უნდა მოემატოთ ნადელი და მიწა მიეცეთ უხვად, ან არა-და ბაზრის გარემოებაც უნდა შეიცვალოს და სამეურნეო ცოდნა გავრცელდეს, რათა ამ ღონით ცოტად თუ ბევრად შეიცვალოს მთელი სამეურნეო ტეხნიკა და მით გამოწვეულ იქმნას წარმოება და გავრცელება რაისამე მცენარისა, რომლის შემოსავალსაც შეეძლოს მისცეს გლეხ-კაცს ის, რაც დაეკარგება ვენახების გახმობის გამო.

ნიკ. კავკასიძე

## ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყვეთ, ქართულის მუსიკის მოყვარეებს განუზრახავთ ქართულს სცენაზედ წარმოადგინონ რუბინშტეინის ოპერა „დემონი“ და ამ საქმის სისრულეში მოყვანისთვის უკვე ხელი მიუყვიათ კიდეც. ამას გარდა, განზრახვა აქვთ დიდ-მარხვაშივე, თუ მოახერხეს, განიმეორონ კომიკური ოპერა „ნატვრის თვალი“.

*** შაბათს, 8 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, დანიშნულია კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა. კრება მორიგ საქმეების განხილვის შემდეგ მოისმენს ბ-ნ ნ. ტარატინოვის მოხსენებას: О роли хлопчатника въ вряду другихъ сельско-хозяйственныхъ растеній въ Закавказьи“ (რა მნიშვნელობა აქვს ბამბას სხვა სამეურნე მცენარეთა—შორის ამიერ კავკასიაში). კრებაზე არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

*** ჩვენ მოგვივიდა მოსკოვიდამ ახალი რუსული წიგნი „Іерархія всероссійской церкви отъ начала христіанства въ Россіи и до настоящаго времени Н. Д. Москва 1892 г.“ ამ წიგნში მრავალი ცნობაა მოთავსებული საქართველოს ეკკლესიის შესახებაც. მოხსენებულნი არიან ცნობილნი იერარქნი საქართველოს ეკკლესიისანი და ის მღვდელ-მთავარნიცა, რომელნიც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთში გადავიდნენ, იქ მოღვაწეობდნენ და იქვე მიიცვალნენ.

*** ჩვენ მოგვივიდა მოსკოვიდამ მე-XI წიგნი „Этнографическое обозрѣніе“-სი, რომელსაც ჰბეჭდავს საეთნოგრაფიო განყოფილება ბუნების მეტყველებისა, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა. ამ წიგნში მოთავსებულია სხვათა შორის შემდეგი ჩვენთვის საყურადღებო წერილები: „Кавказско-русскія параллели“ ვს. თ. მილლერისა, ‘Обычаи грузинскихъ крестьянъ при пахaніи“ ა. ხახანაშვილისა, „Историческая грамматика современнаго армянскаго языка города Тифлиса, ტომსონისა. ამ წერილის რეცენზია დაუბეჭდია ზალემანსა და ოლდენბურგს (жур. мин. народ. просв. 1891 წ. სექტ. 242—270). ზემოხსენებულს „этног. обоз.“-ეს წიგნში განხილულია ტომსონის ნაწერიცა და მისი რეცენზიაც ფ. ფორტუნატოვისა და ვს. მილლერის მიერ.

*** ჩვენ მოგვივიდა მოსკოვიდამ ბ-ნ ალ. ხახანაშვილისაგან ცალკე წიგნად დაბეჭდილი (Изъ „Чтеній“ въ Императ. Обществѣ исторіи и древностей россійскихъ при Московскомъ Университетѣ“) грузинскій изводъ сказанія о св. Георгіи, რომელსაც დამატებად აქვს ზედ-დართული: სვანური ლეგენდები: ამირანი, უსუფი, ამირან დარეჯანიშვილი და ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. გიორგისა მ. პ. საბინინის ხელ-ნაწერისამებრ.

*** სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა): იანვრის შუა რიცხვებში ხუმელაგაში მცხოვრებთ სახლიკაცებს, მაირამა და ზაურბეგ ქოქოევებს, მოუვიდათ ჩხუბი და იქამდე გამწვავდა, რომ ორივემ იძრეს ხანჯლები და მიაშურეს ერთმანეთს. ხანჯლის მოქნევა დაასწრო ზაურბეგამ და ისე მძიმედ დასჭრა ორგან მაირამა მარცხენა მკლავში, რომ მკლავი შეახმა და დარჩა საცოდავად.

*** სიღნაღი: 26 იანვარს იყო აქ კრება სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა. კრებამ გადასწყვიტა მიენდოს შეკრება შეწირულებათა რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ რამდენსამე არჩეულს კაცს. ამავე კრებაზედ თ. ზ. ი. ანდრონიკაშვილმა ილაპარაკა, რომ ვენახის პატრონთ შეადგინონ საზოგადოება, რომელსაც საგნად ექნება დააყენოს კარგი ღვინოები და დიდი ბაზარი აუჩინოს თავისს ღვინოებს. ანდრონიკაშვილმა ისევე ილაპარაკა აქაც, როგორც თელავში ელაპარაკნა და როგორც ამ საქმის გარემოება უკვე იყო თავისს დროზედ მოხსენებული თქვენს გაზეთში. კრებამ სიამოვნებით მიიღო თ. ანდრონიკაშვილის წინადადება და აღუთქვა, ყოველგვარი დახმარება ამ საგნის განხორციელებისათვის.

*** ქართლი: იმერეთის გლეხობამ თითქმის სულ გამოიყიდა თავიანთ ნაბატონარებისაგან ნადელები მთავრობის დაუხმარებლად, მაგრამ ჩვენს ქართლში გლეხობა ისე არ ეტანება მამულების შესყიდვას, როგორც იმერეთში. მთავრობის დახმარებით შეიძლება მამულების გამოსყიდვა, ხოლო ამ საქმეს იმოდენა დაბრკოლება ელობება წინ, რომ არ ვიცით, რა გზით ვუშველოთ ჩვენს გაჭირვებას. საგუბერნიო საკრებულო თხოულობს, უსათუოდ გეგმა წარმოადგინეო შესასყიდ მამულისაო, ამას კიდევ იმოდენა ხარჯი უნდება, რომ, ანდაზისა არ იყოს, ჩიტი ბლვდნად აღარა ღირს. ხმა მოდის ტფილისიდგან, ვითომ შესყიდვა ნადელებისა მალე სავალდებულო შეიქნებაო, ვითომც უმაღლესი მთავრობაც აშურებს ამ საქმის გათავებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით მისს დამთავრებას ვერ ველირსეთ. ამ გარემოებით დიდად შეწუხებულია ჩვენი ქართლის თავადაზნაურობა და არ იცის, რა მოაგვაროს. ჩვენის აზრით, ურიგოს არ იზამდა გორის მარშალი შეეკითხოს გუბერნიის მარშალს, რომელიც, როგორც ისმის, პეტერბურგს მიდის ამ დღეებში ⁊ იქ შეუძლიან იშუამდგომლოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ შეგვიმსუბუქონ და გაგვიადვილონ, ნადელების საქმე ასე თუ ისე გავუთავოდ გლეხებს ერთხელ და სამუდამოდ.

*** თელავი: გაგვიჭირა საქმე ცუდმა ზამთარმა. წვიმებსა და თოვლს ბოლო არ მოეღო. ნოემბრიდამ დაწყებული აქამომდე ერთი დღე რომ მზიანია, მეორე დღეს წვიმა მოდის და მესამე დღეს თოვლი. ამისთანა ამინდის ცვლილებამ ყოველნაირი ავადმყოფობა გაახშირა ჩვენში. „ინფლუენცამაც“ არ დაგვივიწყა და მუსრს ავლებს ხალხს, როგორც თვით თელავში, ისე სოფლებში. ყველა ოჯახში ავადმყოფი უწევთ და ერთად-ერთი მკურნალი ძლივს ღა ასდის ყველას..

*** იქიდამვე: მთელს თელავში ერთად-ერთი გამოჩენილი ქუჩაა, რომელიც ქალაქის შემოსავალში დაიწყება და სწყდება ქალაქის ბოლოს; რომ არ შემოცხვეს, სწორედ მუხლამდის იფლობა კაცი ლაფ-ტალახში; თითქო ორღობეაო, ისე სდგას ქუჩაში ტალახი. მიზეზი გახლავთ ქუჩის მოუკირწყლაობა. სიღნაღში, თითქმის ყველა მიყრუებული ქუჩაც-კი მოკენჭილია და თელავში, ერთად-ერთი უმთავრესი ქუჩა ვერ მოუკენჭიათ. მონდომება ვსთქვათ, თორემ ერთის ქუჩის გაკეთება ქალაქს ბევრი არ დაუჯდება, რადგანაც შიგ შუა ქალაქში ვეებერთელა რიყეა, საიდამაც შეუძლიანთ გაზიდვა ქვისა. —შარშან იყო და თითქმის მთელი წელიწადი გაუნათებელი იყო მთელი ქალაქი, მაგრამ ეხლა-კი ღმერთმა მოგვხედა და მაზრის უფროსის განკარგულებით აგვინთეს ქუჩებში ლამპრები.

კახეთი: ამ ჟამად კახელებს სალაპარაკო საგნად გვაქვს რკინის გზა, რომელიც უნდა გამოვიდეს კახეთზე. ყველა დიდის აღტაცებითა და მოუთმენლად ელოდდება ამ კეთილ საქმის განხორციელებას. ხალხში ხმაა გავრცელებული, რომ გაზაფხულზე უეჭველად დაიწყება მუშაობაო.

*** როგორც გაზეთს „Нов. Обоз“-ს შეუტყვია, თელავის მაზრის უფროსი თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი დაუნიშნავთ გორის მაზრის უფროსად, ხოლო გორის მაზრის უფროსი კაპიტანი განსევიჩი-კი გადაუყვანიათ თელავის მაზრის უფროსად.

*** გაზეთს, „Кавказъ“-ს დეპეშით აცნობებენ პეტერბურგიდგან, რომ ტფილისის სასამართლო პალატის მესამე დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა ვიატკის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი ფატეევიო.

*** სოფელს ქარელსა და ხვედურეთს შუა იანვრის უკანასკნელს რიცხვებში დუქნის მახლობლად სამი ავაზაკი დასცემია თავს მიხეილ ერისთავს და კეტით თავი გაუტეხნიათ. ეს ავაზაკები ამ ჟამად აღმოუჩენიათ კიდეც და ყოფილან სოფ. ქარელის მცხოვრებნი: ივანე მჭედლიშვილი, დავით ქვრივიშვილი და სიკო თე-

---

— ბუზიკის დაკვრა-კი არა, გინდა დაირის დაკვრა ისწავლო, მაინც ჩვენებურს გოგოებს გულს ვერ აუთამაშებ. შენ, ჩემო ძმაო, აგითვალწუნეს, აღარ მოგთხოვდებიან...

— ი სალავათ დასაქცევები ქოქოლას მაყრიან ხოლმე, როცა მე თვალს ჩაუკრენხამ, კაცო, და პირს მამიჩემი სალოცავისკენ მიიბრუნებენ ხოლმე.

— შენი თვალის კრენხას ისე ყურს არ უგდებენ, როგორც ბეხრეკი ძაღლის ღრინვასა,—გაეხუმრა ერთი მეურმე.

— აკი რო ეგრეა, შვილოსა! ი ურჯულოები რაში მწუნობენ, მე რა სხვაზე ნაკლები ბიჭი ვარ?... ერთი ფუთზე მაინც არ დავაპირე დანიშვნა, რო მე არ მამთხოვდნენ და სხვებს-კი გაჰყვნენ. ლამის არის ესე დამაბერონ!

— დაბერებული თუ არა გგონია შენი თავი?! სიცილით უთხრა ერთმა მეურმემ და სხვებმაც სიცილი ასტეხეს.

— მართლა, ილიკო, ბუზიკა ვისთვის იყიდე?

— ვისთვის ვიყიდდი, ჩემი დისთვის ვიყიდე! ეს ოხერი, კაცო, ნათლიათაც არავის მივყევარ; ჯერ ერთი ნათლიდედაც არა მყავს! გულნაკლულად და ღრეჭით წამოიძახა ილიკომ.

— რაკი დაგიბრიყვეს, ჩემო ილიკო, დაგიბრიყვეს, ველარას გახდები...

ისე ლაპარაკით და ხუმრობა-სიცილით კარგად დაჰშორდნენ სოფ. მცხეთას. ბოლოს ძილი მოერიათ და ფარაჯებსა და ნაბდებში გახვეულებმა ურმებში ჩაიძინეს.

— აბა, სიმნო, ხალისიანათ გარეკე ე შენი კამეჩები, იგება შინ დილაზე ლამიანათ მივიდეთ, რომ მეკვლეები ჩვენ ვიყვნეთ, დაუძახა ილიკომ წინა ურემზედ მჯდომს ცხრამეტისა თუ ოცის წლის ახალგაზდა მეურმეს, როცა ისიც მობღუნძული ურემში მიეგდო.

— რა ხალისიანად გავრეკო, მამლიყიულამდის შინ მივალთ.

— ნეტა არ იქნება! წამოიძახა ილიკომ და მერე ხმა აღარ ამოუღია.

დაეძინათ მეურმეებს. დასძინებიათ აგრეთვე არაგვის გაღმა-გამოღმა თეთრად შემოსილს მთებსა და მინდვრებს; ამ მთვარიანს ღამეს, რაც იშვიათად არ არის არაგვის ხეობაზედ, ტკბილს ძილს არა არღვევს-რა. არა სძინავთ მხოლოდ ურმებში შებმულს დაჩოქილს ხარ-კამბეჩებს, რომლებიც ცოხნითა და კუდის ოდნავ ქნევით ძლივს მიათრევენ ფეხებს თეთრად შემოსილს მთა-ბარს შუა გაკვეთილს, შავის ზოლივით მიკლაკნილ-მოკლაკნულს გზა-ტკეცილზედ; არა სძინავს აგრეთვე სიმნოს, რომელიც წინა ურმის კოფოზედ მობღუნძულა და მწარედ დაჰღიღინებს ურმულს, რაც მხოლოდ იმისს „ლომასა“ და „ნიკორას“ ესმის. სიმნოს შეურყეველსა და წმინდა აკანკალებულს ხმაში რა არ იხატება?!... თითქმის მთელი იმისი, მარტო იმისი-არა, ყველა იმის მოძმეთა არსება, მთელი მათი წარსული, აწმყო და მომავალი ცხოვრება,—მათი სიხარული და სიმწუხარე, ავი და კარგი სულ ერთიანად იხატებოდა იმისს სიმღერაში და ამ გულის სიღრმიდგან ამომჩქეფარს გლეხთა ცხოვრების ვაებას ანდობს მხოლოდ თავისს ერთგულს საქონელს: ლომას და ნიკორას, რომელთაც სიმღერის ყოველს მუხლსა და მუხლს შუა წასძახებს ხოლმე: „თბფეო, ნიკორავ!“, ან „ლომავ!“ თითქოს იმას უნდა ამითი უთხრას ნიკორასა და ლომას: „არ დაგეძინოთ, ყური დამიგდეთ!... ხომ ჰხედავთ, თქვენს მეტი ყურის მგდებელი და გულ-შეტკივარი არავინა გვყავს!“ კამეჩებიც სიმნოს ყოველს ამისთანა მიმართვაზედ წაიშმუილებენ, თითქოს ეუბნებიან: „ნუ გეშინიან, გულს ნუ გაიტეხო!“ წახალისებული, რომ ყურის მგდებლები მყავსო, სიმნო უფრო მწარედ, უფრო გრძნობით დაჰღიღინებს და მოსთქვამს ლექსებს...

ერთმანეთის გულის-პასუხებში გართულებს სიმნოს და იმისს საქონელს არ გაუგიათ, თუ როგორ მიადგნენ ნარეკვავის თავდაღმართს, საიდგანაც აღმოსავლეთით მოჩანს საგურამოს ტყით შემოსილი მთები, დასავლეთით-კი—ტრიალი და დაცემული საწილკნო და სამუხრანო ქალამინდორი. სხვა დროს მშვენიერი სანახავი—ეხლა ერთ-გვარს მოსაწყენს სურათს წარმოადგენდა მთებიცა და მინდვრებიც; ეხლა ისინი ერთნაირად იყვნენ თოვლით გადალესილნი და სიცოცხლის ნიშანი არც ერთს არ ეტყობოდა. ამ გვარი სურათი მგზავრის თვალს უწყალოდ ჰღლის, ასუსტებს და ძილს აპარებს.

ამ სურათმა თავისი მოქმედება თითქოს სიმნოზედაც იქონია. აგრე იმანაც გულზედ თავი მძიმედ ჩამოაკანტურა და ღილინში თვალები მილულა, შესწყდა იმისი ღიღინი. ნარეკვავის თავდაღმართი ურმებმა ლომას და ნიკორას წინამძღოლობით თავიანთს ნებაზედ ჩაიარეს. გასცდნენ ნარეკვავის დუქანსაც, რომელიც იქვე თავდაღმართის ძირშია და საიდგანაც ეხლა ოდნავლა გამობჟუტავდა სინათლე...

ლომა და ნიკორა მიიზლაზნებოდნენ და თან ელოდდნენ თავის პატრონის გამამხნევებელს ხმას, მაგრამ, აგერ რამოდენა ხანია, იმას აღარ დაუძახნია და სძინავს. რაკი ველარ ელირსნენ პატრონის ხმის გაცემას, იმათაც მოიწყინეს და მძიმედ შედგნენ, რომ თითონაც ძილს მისცემოდნენ, მაგრამ გარემოების შეცვლაზედ სიმნომ მაშინვე გამოიღვიძა და „თბფე“ დასძახა. კამბეჩებმა ხმის გაგონებაზედ კვლავ გასწიეს და ურემი მძიმედ გააგორეს. სიმონამ-კი ისევ მიხუჭა თვალები და მიიძინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოზაშვილი, რომელნიც უკვე დააპატიმრა ხიდისთავის ბოქაულმა.

⁂ ახალი ათონი: გაზეთ „Нов. Обоз.“-ს სწერენ ახალ ათონიდან, რომ „ახალ ათონის მონასტერი ამ ჟამად სცდილობს, რაც შეიძლება ბევრი მამული შეიძინოსო. ახალ ათონის მონასტერს ამ ჟამად აქვს ახალ-ათონშივე 1,500 დესეტინა სახნავ-სათესი და 500 დესიატინაც პიცუნდაში. ამ მამულში მშვენიერი ტყეა თურმე. მონასტერში 200-მდე ბერია, ასე რომ თითო კაცზედ 10 დესეტინა მოდის. მაშასადამე, მონასტერი არა საჭიროებს ახალის მამულების შეძენას, მით უმეტეს, რომ რუსეთის სხვა-და-სხვა მხრიდგან მრავალი შემწეობა მოსდის ფულად და მონასტრის შემოსავალი წელიწადში, სულ ცოტა, 500 ათსს მანათს შეადგენს. უმჯობესი იქნებოდა, რომ მონასტერს მომეტებული ყურადღება მიექცია იმ მამულებისთვის, რომელიც ამ ჟამად აქვს. ის ადგილები, სადაც წინად მშვენიერი ბაღები იყო, ეხლა გადამხმარ-გაოხრებულიაო.

⁂ ფოთიდგან იუწყებიან, რომ აფხაზეთში ინფლუენცა მძვინვარებსო.

⁂ ორშაბათს საღამოს, 3 თებერვალს, ვიღაც უცნობი კაცი სიმთვრალის დროს ხიდიდამ წყალში გადავარდა თავის დასარჩობად, მაგრამ რამდენმამე კაცმა თვალი მოჰკრა და წყლიდგან გამოიყვანეს. („ტ. ლ.“).

⁂ თებერ. 4 პილიციის მეექვსე ნაწილში მაშადი-ოღლი წაეჩხუბა ფატელა-ოღლის და მსუბუქად დასჭრა ხელის გულსა და ზურგში. დამნაშავე შეიპყრეს.

⁂ ამავე დღეს ნახიჩევნის მცხოვრებელმა აბელ ბაღდასაროვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 30 იანვარს ბარონის ქუჩაზე ჩემის სადგურიდამ 24 მან. მომპარესო. დამნაშავე აღმოჩნდა შუშის მცხოვრებელი გასათხოვარი ქალი თამარ კაგარმანოვი. მასვე უპოვეს ვექილის ხლებნიკოვისაგან მოპარული ვერცხლის საათი. საათი წაართვეს და პატრონს გადასცეს. დამნაშავე-კი სამართალში მისცეს.

# გაკვრით

(გზად-გავლილი)

ჩვენმა გლეხმა ხარჯის გაწერა კომლზედ იცის. სულზე თვლა ჭირივით ეჯავრება. სულზე ანგარიში ღვთის საწყენიაო. ეს ჩვეულება ისე ჰქონია ჩვენს ხალხს გამჯდარი ძვალსა და რბილში, რომ აქამდის სხვანაირს ანგარიშს ვერ მიეჩვია, სხვა წესი და რიგი ფულის გაწერისა ვერ შეითვისა, თუმცა-კი გარემოება ძალიან უწყობდა ხელს. საქმე იმაშია, რომ მთელი რუსეთი ანგარიშობს სახელმწიფო გადასახადს სულზე და არა კომლზედ. ამისათვის საქმის გასაადვილებლად ჩვენშიც სურდათ ხარჯის აღრიცხვა სულზედ შემოეღოთ, მაგრამ ვერ შეითვისა ხალხმა ახალი წესი და ჯიუტობაც-კი გამოიჩინა, მამა-პაპის წესს ვერ ვუღალატებო. მთავრობის წარმომადგენლებს უკვირდათ ესრეთი ახირება და დღესაც ვერ მიხვედრილან, რად ჯიუტობს აქაური გლეხი და რატომ არ უნდა შემოიღოს ახალი წესი ხარჯთ-აღრიცხვისა.

თურმე ამ ზნე-ჩვეულებას რელიგიური საბუთი ჰქონია. ამ ჩვეულებას ჰხსნის თავისს წიგნში ერთი ბელგიელი, რომელიც ყოფილა საქართველოში 1808—1816 წლებში. ბელგიელს საიდგანღაც უშოვნია მეფე გიორგისგან რუსეთთან შეკრული ტრაქტატი და ჩაურთავს თავისს წიგნში უნაკლებლოდ. ტრაქტატში სულ ათი მუხლი ყოფილა. პირველი ცხრა მუხლი შეეხება სხვა-და-სხვა ვალდებულებას ორისავე მხრით, ერთის სიტყვით ტრაქტატი ისეა დაწერილი და შეეხება ისეთს საგნებს, რაც შეეფერება საერთა-შორისო ხელშეკრულობას. მეათე მუხლი-კი სწორედ გაგაოცებთ: არავითარი კავშირი არა აქვს ზემოდ მოყვანილს მუხლებთან. იქა სწერია: ხალხის აღრიცხვა უსათუოდ უნდა იქმნას ПОДЫМНО (კომლი) და არა ПОДУШНО (სული). ბელგიელსაც უეჭველია, გაუკვირდებოდა, ეს რა გამოცანააო. ალბად გამოუკვლევია, გამოუწვლილებია და ბოლოს შეუტყვია მიზეზი ასეთის მუხლის ჩართვისა ტრაქტატში. ამ მიზეზის ამბავი იქვე თავისს წიგნში ჩაურთავს ცალკე სხოლიოდ.

ერთხელ ებრაელთა მეფემ დავითმა ბრძანა აეწერათ ხალხი თითოეულის სულის მიხედვით. იმ წელს გაჩნდა საშინელი ჟამი და ხალხს სულ მუსრი გაავლო, ნახევარზე მეტი ხალხი გაჟლიტა. ეს უბედურება ხალხმა ასე ახსნა: უფალს ეწყინა ხალხის აღრიცხვა თითოეულის სულის მიხედვით, განრისხდა და ეს უბედურება იმისათვის მოგვივლინაო. ამას შემდეგ კანონად დაიდო კომლობრივ აღრიცხვა. რადგან ქართველთ მეფენი ფიქრობენ, ჩვენ ებრაელთ მეფეთა ჩამომავალნი ვართო, ალბად სხვასთან ერთათ ეს ჩვეულებაც შეუთვისებიათ და ამ სახით დაწესებულა კომლობრივი ანგარიში. ეტყობა ისე შეუთვისებიათ ქართველებს ეს ჩვეულება, რომ საჭიროდ დაუნახავთ მისი მოხსენება საერთაშორისო ტრაქტატში.

რამდენად საფუძვლიანია ბელგიელის განმარტება ჩვენის ჩვეულებისა, ამის გამოკვლევა ისტორიკოსებისთვის მიგვინდვია. ჩვენ მხოლოდ ის განვუზიარეთ მკითხველს, რაც გავიგონეთ, თუმცა უნდა გამოვტყდეთ, უფრო საინტერესო იქნებოდა იმ ტრაქტატის პირველ ცხრა მუხლის შინაარსის გაგება, ვიდრე მეათესი...

## წერილი ქუთაისიდან

(ქართული წარმოდგენა)

წარსულის წლის დამლევს, „ივერიაში“ მოხსენებული იყო, რომ ეგრედ წოდებული პავილიონი, რომელიც ქალაქმა გამართა 1888 წელს ბულვარში მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა დასახვედრად და მისაგებებლად, ჩვენმა არტისტმა ბ-ნმა კ. მესხმა და ა. ი. გამრეკლიშვილმა ქალაქისაგან იჯარით აიღეს რამდენისამე წლის ვადით და განიზრახეს ამ პავილიონის სათეატროდ გადაკეთება. რასაკვირველია, ქალაქი უკეთ და უფრო შესაფერად ვერ გამოიყენებდა ამ პავილიონს: ბ-ნი მესხი და გამრეკლიშვილი შეუდგნენ საქმეს და პავილიონის ხასიათის ხელ-შეუხებლად და დაურღვეველად პავილიონი თეატრად გადააკეთეს. მართალი უნდა ვსთქვათ, ამ ორს კაცს შრომა და არჯი არ დაუზოგავთ, რომ თეატრისათვის შესაფერი დარბაზი მოეწყოთ და მკვიდრი საძირკველი დაედვათ თეატრისათვის ქუთაისში; თეატრის საქმე-კი ჩვენში კარგად ვერ იყო მოწყობილი სხვათა შორის იმიტომაც, რომ არც შესაფერი დარბაზი მოიპოვებოდა, არც ხეირიანი დეკორაციები და არც სათეატრო ტანსაცმელები. ყველა ამ მიზეზის თავიდამ აშორება იკისრეს ბ-ნმა მესხმა და გამრეკლიშვილმა და, ჩვენის აზრით, ერთხელვე ნატვირთი საქმე სინიდისიერად და ბეჯითად შეასრულეს იანვრის 15-სათვის. ხოლო ამ თთვის 2 წარმოდგენაც გამართეს. ამ შემთხვევისათვის ბ-ნმა მესხმა მიიწვია ტფილისიდამ საუკეთესო არტისტები ბ-ნი ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი და ქ-ნნი ანდრონიკაშვილისა და აბლანი. ორს ამ თთვისას წარმოდგენილ იქმნა დრამა აკაკისა „თამარ-ცბიერი“ და ვოდევილი „ახირებულია“. რა თქმა უნდა, რომ ქართულ წარმოდგენათა გამართვას, რომელიც ერთს წელიწადზე მეტია, რაც შეჩერებულია, ჩვენი საზოგადოება დიდის მოუთმენლობით ელოდდებოდა. თუმცა იმ დღეს, ეგრედ წოდებულს ხარაზოვის თეატრში რუსული ოპერეტი იყო გამართული და ტაროსიც ცუდი დადგა, მაინც კ. მესხის თეატრი სულ ერთიანად გაიჭედა მაყურებლებით. საზოგადოებას თვალ-წინ წარმოუდგა პატარა, მაგრამ კოპწია, ლამაზი, ლაზათიანი სათეატრო დარბაზი, შესაფერი მოწყობილობა და მორთულობა და ბოლოს ჩინებული ახლად დამზადებული დეკორაციები და ტანსაცმელები.

წარმოდგენის დაწყებამდე, ფარდა აიმართა და სცენაზე გამოჩნდა მთელი დასი არტისტებისა და განსვენებულის გ. ერისთვის სურათი. ბ-ნმა მესხმა შესაფერი ლექსი წაუკითხა ამ სურათს და შემდეგ არტისტებმა გვირგვინებით შეამკეს იგი. ბ-ნ აკაკის დრამის შესახებ არაფერს ვიტყვით, რადგანაც ეს პიესა მრავალჯერ ყოფილა წარმოდგენილი და ამიტომ საზოგადოება საკმაოდ იცნობს. მხოლოდ ის უნდა ვთქვათ, რომ უფროსერთს არტისტს მეცადინეობა არ დაეკლო როლის შესასწავლად.

ახალ მოთამაშეთა შორის უნდა დავასახელოთ ბ-ნი ბ. აროშიძე, რომელმაც ხეირიანად აასრულა მასხარას როლი.

დასასრულ უნდა შევატყობინოთ, რომ ბ-ნი კ. მესხი სეზონის დასრულებამდე აპირებს შვიდის წარმოდგენის გამართვას. ყველა ამ წარმოდგენისათვის მოწვეულ იქნებიან ტფილისიდგან ჩვენი არტისტები.

სრული იმედი გვაქვს, რომ, რაკი თეატრს შესაფერი დარბაზი, მოწყობილობა და მორთულობა ექნება, ქართულს თეატრს ფეხი არ შეეშლება, თუ რომ ჩვენის თეატრის საქმის გამგენი შრომასა და მხნეობას არ მოაკლებენ.

# რუსეთი

როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, მთავრობამ დიდი ცვლილება მოახდინა კლასსიკურ გიმნაზიების პროგრამაში. ეს ცვლილება უმთავრესად ბერძნულ-ლათინურის ენის სწავლებას შეეხება. აქამდე გიმნაზიებში უმთავრესი ყურადღება მიქცეული ჰქონდა ხსენებულ ენების გრამატიკას—საგრამატიკო ფორმებისა და სქემების შესწავლას. ახლად მოხდენილმა ცვლილებამ ბოლო მოუღო ამ გვარს სწავლებას ბერძნულ-ლათინურის ენისას. ამიერიდგან მოსწავლეებს უნდა ასწავლონ არა უმთავრესად გრამმატიკა, არამედ შეგნება-გაგებით კითხვა რომაელთა და ბერძენთა მწერლებისა და თარგმა რიგიანის ენითა. ამასთანავე დიდი ყურადღება მიაქცია და დააკანონა მთავრობამ, რომ მოსწავლეებს სახლში აღარ გაატანონ ხოლმე სამძიმო სამუშაო—თარგმნა რუსულიდან ბერძნულისა და ლათინურს ენაზედ, რის გამოც აქამდე მთელი საზოგადოება ერთხმად სჩიოდა, ჩვენს ყმაწვილებს ულვთო შრომითა ჰღალავენ და ჰქანცავენო. თუ რა

---

ამ დროს გამოჩნდა პირდაპირ ამათკენ მომავალი ეტლი, რომელსაც წინ და უკან ორი შეიარაღებული ჩაფარი მოსდევდა. ეტლი თანდათან უახლოვდებოდა ურმებს და უფრო გარკვევით მოისმოდა ცხენების ფრუტუნი და მათის ფეხების აჩქარებული ხათქა-ხუთქი. წინამორბედმა ჩაფარმა ურმებს თვალი შეასწრო და ცხენი გამოაჩქარა. იმას მეორე ჩაფარიც წამოეწია და ორნივე საჩქაროდ ურმებთან დაიბადნენ.

— აი, თქვე ასეთ-ისეთებო! დასჭყივლეს ჩაფრებმა და მძინარე სიმონს და იმისს კამბეჩებს მათრახები დაუშინეს.

საცოდავი სიმნო დაფეთიანებული წამოვარდა და უეცრივ ურმიდგან თავდა-ყირა გადიარა.

— მირეკეთ იქით, მირეკეთ! ლანძღვა-გინებით და მათრახების ჟაპაჟუპით ჩაუქროლეს ურემს...

აირივენ ურმები და მეურმეები ერთმანეთში. ამ უეცარს ჰყივილსა და ცემაზედ დაფეთიანებული მეურმები გონს ვერ მოსულიყვნენ და „ჰოო, ჰო“-ს ძახილით ზოგი საით გარბოდა და ზოგი საით. ასე ეგონათ მილეთის ჯარი თავს დაგვესხა და ჰლამობენ ჩვენს ამოჟლეტასაო. ურმებიც ზოგი გზიდგან გადავარდა და ზოგი გზის პირის თხილებში გაიხიდა და ისე იდგა.

ამ არევ-დარევის დროს ურმების გვერდით გაიგრიალა რუსეთიდგან მომავალმა ფოსტამ და მეურმეებიც გამოლაგდნენ გზაზედ.

— ფოსტა ყოფილა ეგ ვერანი! წამოიძახა ილიკომ, როცა ჯაგებიდგან გამოძვრა და გაიხედა იქით, საითკენაც მიქროლავდა ეტლი.

— ეეი, ის ულმერთოები, რანაირად იცემებოდნენ! სთქვა ერთმა ზურგის ქექით.

— ერთი ისეთი გადმომიჭირა ოჯახ-ჩანელებულმა ზურგში, რო თვალებიდგან სუ წინწკლები წამომცვივდა! სთქვა მეორე მეურმემ.

— მე რო დროით არ გამომლვიძებოდა და თავისთვის არ მეშველა, მეც-კი მითავაზებდნენ. სთქვა ყველაზე ბოლოს ილომ.

— შე რა, შვილოსა, ყველაში ეშმაკი ხარ, უკან იმითვის არ მოექეცი?! უპასუხა ერთმა.

— ე გველი რო ხარ, იმითვინა გწუნობენ ჩვენებური გოგოები, —უთხრა ახლა მეორემ.

— ნეტა არ იქნება გველი ვიყო, რო ი ჩვენებურ გოგოებს... წამოიძახა სიცილით ილიკომ.

— ვი, გამჩენმა ამოგაგდოს, გამჩენმა, კაი ადამიანი შვილი შენა ხარ! თითქოს ყველამ ერთად უთხრეს სიცილით ილიკოს.

ამ ლაპარაკში იმათ თავ-თავიანთი ურმები მოაბრუნეს და გზაზედ დააყენეს. ის იყო გამგზავრებას აპირობდნენ, რომ ერთმა მათგანმა გზისპირის თხრილში გახიდული ურემი დაინახა და დაიძახა:

— აი ვისი ურემი დგას კანაოში?!

ყველამ იქით მიიხედეს და დაიძახეს:

— ვინ გვაკლია?!

— სიმნოს ურემია, ბიჭებო! წამოიძახა ერთმა და მერე იკითხა: „თითონ სად-ღა წასულა?“.

— სიმნო! დაიძახა ერთმა; მაგრამ პასუხი არსაიდგან მოესმა.

ილიკო გადმოხტა ურმიდგან და საჩქაროდ სიმნოს კამბეჩებთან მიირბინა, უეცრივ შესდგა და ფერ-მიხდილმა ძლივს-ღა წამოიძახა;

— ე რა უბედურება დატრიალებულა, თქვენი ჭირიმეთ!!.

— რა, კაცო?! ელდა-ნაკრავებმა ერთხმად იკითხეს და საჩქაროდ ილიკოსთან მიირბინეს.

თქვენი მტერი გაშრეს ისე, როგორც მეურმეები გაშრნენ და პირი დააღეს, როცა კამბეჩებთან ახლო გულდაღმა გაშხლართული, საფეთქელ-გახეთქილი სიმნო დაინახეს...

— ახლა ამი დედის საცოდაობას ვიღა იხელს?! წამოიძახა ისევ ილიკომ.

— ბედნიერი დღე უბედურად არ შეეცვლება იმ საცოდავს! სთქვა ერთმა და თავი ნაღვლიანად ჩაჰკიდა. მეურმეები შემოეხვივნენ სიმონს გვამს და კარგა ხანს მწარედ დაღვრემილები და ათას-ნაირს შავს ფიქრში გართულები ხმის ამოუღებლად, მუნჯად დასცქეროდნენ.

თითქო ლომამა და ნიკორამაც იგრძნეს თავიანთ პატრონის უბედურება, იმათაც მოიგრიხეს კისრები და წყლით სავსე თვალები მოწყენით სიმნოს მიაპყრეს და სხვაგნით აღარ საით არ იხედებიან; შესწყვიტეს ცოხნა და ხანუშ-ხამუშ ოხვრის მაგივრად ღრმად წამოიფშმუვლებენ ხოლმე.

მთვარე-კი გულ-გრილად, შეუბრალებლივ დასცქეროდა ზემოდგან და თითქოს ეუბნება: აი, თქვე საცოდავებო, თქვენა!.. რას ჩაგიკიდნიათ თავები და ჩამოგტირით ცხვირ-პირი?!. მაგ ერთი მღილისთვის თქვენ მაგრე იქუშებით და იწუხებთ თავებს... მაშ მე რაღა უნდა ვქნა, როდესაც ჩემ თვალ-წინ უსამართლოდ დახოცილის ხალხის სისხლის მორევები დგება, როდესაც მრავალი ერი სხვის ხელში უსამართლოდ იღუპება და ანთხევს სისხლს?!. ეჰ, თქვე უბედურებო, თქვენა..!“

ამ დროს მთვარე ნაწყვეტს ღრუბელს მოეფარა და მიხუჭა თვალები, თითქოს ამითი უნდა ჰნიშნოს მეურმეებს, საკმარისია წუხილიო...

— ესაა ჩვენი ცხოვრება!.. წამოიძახა დიდის ხნის სიჩუმის შემდეგ ერთმა მეურმემ და მწარედ ჩაიქნია თავი; რამდენიმე ტყვიასავით ცხელი ცრემლი გადმოჰვარდა და სიმნოს გაყინულს სახეს დაეცა...

შ. არაგვისპირელი

კეთილი შედეგი მოჰყვება ამ ცვლილებას გიმნაზიის პროგრამისას, ამას შემდეგი დაგვანახვებს, ხოლო ამ ჟამად მკითხველებს გავუზიარებთ ფრიად საყურადღებო ცნობებს, რომელიც ერთს რუსულს გაზეთშია დაბეჭდილი. ჯერ ერთი სიკეთე ამ ცვლილებისა ის არის, რომ საბჭოებს გიმნაზიებისას ნება ეძლევათ უეგზამენოდ, მხოლოდ იმის მიხედვით, თუ შეგირდი როგორ სწავლობდა წლის განმავლობაში, პირდაპირ გადაიყვანონ ერთის კლასიდგან მეორეში. ამ გარემოების წყალობით აი რა მოხდა. უკვე ამ ერთის წლის განმავლობაში შეამჩნიეს, რომ მოსწავლეები უფრო რიგიანად დაიარებოდნენ და ნაკლებად აკლებოდნენ გაკვეთილებს კლასში. თითონ სწავლითაც უფრო უკეთესად უსწავლიათ და უბეჯითნიათ. პროგრამის შეცვლამდე შეგირდების მიერ გამოტოვებულ გაკვეთილების რიცხვი 17,2% იყო გაკვეთილების საერთო რიცხვისა; ხოლო ცვლილების შემოღების შემდეგ ეს პროცენტი 14,4%-ზე დადგა. კარგად მოსწავლე ყმაწვილების რიცხვი ცვლილების შემოღებამდე გიმნაზიის დაბალს კლასებში 51% იყო, ხოლო ცვლილების შემოღების შემდეგ 67,5% გახდა. უფროსს კლასებში წინად იყო 70%, ახლა არის 89 პროცენტი; საზოგადოდ-კი ცვლილების შემოღებამდე კარგ მოსწავლეთა პროცენტი იყო 57, ეხლა-კი არის 69%. ამ გარემოებას ახსნა აღარა სჭირია. თვით ციფრები ყველაზე უკეთესადა ჰხსნიან და ჰმარტავენ საგანსა. ცვლილება ჯერ ეხლახან არის შემოღებული; შემდეგში იმედია, უკეთესი შედეგი ექმნება.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ამას წინად გამოვიდა პირველი ნომერი ახალის ჟურნალის „Weekly Star“-ისა, რომელშიაც გლადსტონის წერილიც არის დაბეჭდილი მუშათა საქმის შესახებ. ამ ჟურნალს, როგორც ეტყობა, აზრად აქვს ლიბერალებს მომხრეები და თანამგრძნობელნი აღმოუჩინოს სოფლის მუშათა შორის და ამ საგანსავე შეეხება გლადსტონის წერილიც. გლადსტონი სწერს, რომ ამ საუკუნემ საკმაოდ გააუმჯობესა მუშათა მდგომარეობა, მაგრამ სოფლის მკვიდრთ ისე ვერ ისარგებლეს ამ გარემოებით, როგორც სამანუფაქტურო მრეწველობის მუშათ. მხოლოდ 1885 წლიდგან იქონიეს სოფლის მუშებმა თავისი გავლენა არჩევანებზედ და ამ გვარს პოლიტიკასა და კანონ-მდებლობაზედაც. ამ დროდგანვე აკი ამათ საერთო ყურადღებაც მიიქციეს. გლადსტონი იმ აზრისაა, რომ თუ გვინდა სოფლის მკვიდრთა ცხოვრება განვაკარგოთ და განვაუმჯობესოთ, ხელი უნდა შევუწყოთ წვრილმან მიწადმფლობელობის განვითარებასა, სათვით-მმართველო დაწესებულებათა დაარსებასაო.

— უკანასკნელის ცნობებით, გლადსტონს განუზრახავს საფრანგეთიდგან, სადაც ამ ჟამად სცხოვრობს, სამშობლოში დაბრუნდეს, რომ 10 თებერვლისათვის თავისი ალაგი დაიჭიროს პარლამენტში. მხცოვანი მეთაური ოპოზიციისა ძალიან კარგს ჯანზეა თურმე.

— მთავრობას განუზრახავს, სამეფო კომისია დანიშნოს შესანიშნავთა ექიმთა, რომ ინფლუენცას მიზეზი გამოიკვლიონ და სახსარი რამ გამოსძებნონ იმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ჟამად ძალიან ავად არის ინფლუენცით იმპერატორ ფრიდრიხის ცნობილი ექიმი მორელ მეკენზი.

**იტალია.** რადგან ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა ხმა, რომ რომის პაპი დიდად ავად არისო, გაზ. „Daily Chronicle“-ს კორესპონდენტის სიტყვით ამ ჟამად მოლაპარაკება აქვთ იტალიასა, გერმანიასა და ავსტრიას, ახალის პაპის არჩევანის შესახებ, თუ ვინიცობაა მოხდა რამე. ამბობენ, ავსტრიის კარდინალებს მთავრობისაგან ეცნობათ, ამ საქმეში იტალიის კარდინალებს მიემხრენით და პაპის მოადგილედ ისეთი კაცი ამოირჩიეთ, რომ იტალიას მოურიგდესო. სამთა კავშირის მთავრობათ იმედი აქვთ, რომ ამ საქმეში შველასა და დახმარებას აღმოგვიჩენენ არამც თუ მარტო იტალიის კარდინალების უმეტესობა, არამედ წმიდა საბჭოს ისპანიელი და პორტუგალიელი წევრებიცაო.

**პორტუგალია.** პორტუგალიის მეფემ შემდეგი რესკრიპტი გაუგზავნა მინისტრ-პრეზიდენტს: „რადგან როგორც მე, ისე სამეფო გვარეულობას გვსურს პირველმა შევწიროთ ჩვენი წვლილი იმ გაჭირვებულს მდგომარეობას, როგორშიაც ეხლაა ჩავარდნილი სახელმწიფო ხაზინა, ამიტომ გაუწყებით, რომ გადავწყვიტეთ მეხუთედი იმ ფულისა, რომელიც ჩვენ გვეძლევა, აწინდელს გაჭირვებას შევწიროთ. ეს ფული შემოგვიწირნია იმ დრომდე, ვიდრე მაგ მდგომარეობას ბოლო მოეღება. დარწმუნებული იყავით, რომ მე ყოველისფერში და ყველასთან ერთად მსურს გავინაწილო ბედი ერისა, რომლის ხვედრთან ისე არსებითად არის შეკავშირებული თვით ჩემი ბედიც და ჩემის გვარეულობისაცა. თქვენი კეთილ-მოსურნე მეფე“. პორტუგალიის მეფეს ხარჯად ეძლევა წელიწადში 520,000 მილრეისი, რაც ეხლანდელის კურსით შეადგენს 1-170,000 მანეთს, ასე რომ მეფეს 234,000 მანეთი შეუწირავს ხაზინისათვის.

## დეპეშა

4 თებერვალი

**პეტერბურგი.** სენატმა განიხილა საჩივარი გაზეთ „Южный Край“-ს რედაქტორის იუზეფოვიჩისა ხარკოვის პალატის განაჩენის თაობაზე, რომლითაც მას მისაჯული ჰქონდა ან 500 მანათი ჯარიმა და ან 6 თთვით დაპატიმრება ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორ კრილოვის დიფამაციისთვის. სენატმა უარჰყო განაჩენი პალატისა და საქმეც სრულიად მოსპო.

**ბერლინი.** შეთქმულობის აღმოჩენის ამბავი მართალი გამოდგა, მაგრამ დაპატიმრებულია არა 60 კაცი, არამედ მხოლოდ 4. აღმოაჩინეს, რომ შეთქმულები ყოფილან ბერლინსა, ჰამბურგსა და კენიგსბერგში. პოლიცია დიდს კვლევა-ძიებაშია.

**ვენა.** „Fremdenblat“-ი იუწყება, კრაკოვის ოლქში საჭირო შეიქმნა 23 საზოგადოებისთვის პურის ძლევაო; 130 სოფლის მოსახლეს ერთი მარცვალიც აღარა აქვს საახალთესლოდაო.

კრაკოვის საოლქო გამგეობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ სახელმწიფო სამუშაოები განაგრძონ და გაჭირვებულს ხალხს საშოვარი მისცენ.

5 თებერვალი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დამატებად საზოგადო კანონთა მთა-მადნებში მუშაობის წარმოებისა დაამტკიცა განსაკუთრებული კანონები ოქროს მადნებში მუშაობისა.

საბეითალო გამგეობა იუწყება, ღონისძიება რქოსან საქონლის ჭირის წინააღმდეგ კარგი შედეგი მოსდევს ევროპის რუსეთში, ხოლო კავკასიასა და ურალის იქითა მხარეს ვერ მოსპეს საქონლის ჭირი; რადგან ამიერ კავკასიიდგანა და ციმბირიდამ ვრცელდება მუდამაო და იქ-კი საბეითალო ღონისძიებანი თითქმის სრულიად არ იხმარებაო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ღონისძიებას ეძებს საქონლის ჭირთან საბრძოლველად მთელს იმპერიაში.

„Новое Время“ იუწყება, საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა დობუჟინსკიმ გამონაძიები შესახებ პუხტერის ფქვილისა და გამგეობის წევრთა მოქმედებისა ქალაქის უფროსს გადასცა განსახილველადა, სადაც ჯერ არს. პუხტერი განათავისუფლეს 10,000 მან. თავდებობით.

ფქვილის სინჯვას კვლავ აწარმოებენ.

პეტერბურგის ბირჟა, 4 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 09 | 8, 12 | —,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $161\frac{1}{2}$ | $162\frac{1}{4}$ | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 17 | 1, 19 | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | —,, | —,, | $235\frac{3}{4}$ |
| —მეორისა . . . . | —,, | —,, | 225 |
| —მესამისა . . . . | —,, | —,, | —,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 198 | —,, | $200\frac{1}{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | —,, | —,, | —,, |
| 5% . . . . . | —,, | —,, | —,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | ,, | —,, | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | —,, | —,, | —,, |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.
„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ქერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით, დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის საბჭო.

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 8 თებერვალს, 12 საათზე, საბჭოს დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ქალაქის ქუჩების ხელახლად მოკირწყვლის იჯარით გაცემისა 1892 წელს. პირობათა შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ გამგეობაში დილის 10 საათიდგან 2 საათამდე ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. (3—2)

**სიმრთელის კიდობანი**

ოჯახში საკითხ-სახმარებელი სამკურნალო წიგნი, შედგენილი ილია სულაქველიძისაგან და განხილული პეტერბურგში მკურნალთა რჩევაში, თითო წიგნი 1 მანეთად იყიდება:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში, გორში — არსენ კალანდაძისაში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა და წერეთლისაში, ბათუმში—ნიკოლაძისაში და ფოთში—ძმათა ნოდიათა წიგნის მაღაზიაში, ბექათუბანში—ანდრია შავთვალაძესთან; ყვირილაში—იორდანე ცერცვაძესთან; სამტრედიაში—კოსტანტინე კაჩეიშვილთან; ნაგომარში—ა. კიღურაძესთან; ფოთში—ავტორთან.

ვინც იყიდის 20 ცალს ნაღდს ფულზე, თითო ცალი 80 კ. დაუთმობა. (8—2)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—19)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდო I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| ი . სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |


Дозв. ценз. Тифлисъ, 5-го Февраля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.